ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი №28

20.11.2018 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

12:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: ერეკლე კუხიანიძე (კომისიის თავმჯდომარე), გიორგი ტყემალაძე, ლევან ჯაფარიძე, გიორგი დოხტურიშვილი, ლევან ჟორჟოლიანი, ლევან ხაბეიშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

საკრებულოს წევრები:

1. **რამინა ბერაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
2. **ლევან დავითაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
3. **ირაკლი ზარქუა** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
4. **დავით ჟღენტი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
5. **ქეთევან მამულაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
6. **რევაზ სოხაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
7. **ბექა დავითულიანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
8. **დავით უჯმაჯურიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
9. **დავით უთმელიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
10. **თევდორე ისაკაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
11. **ვახტან შაქარიშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
12. **ნიკოლოზ ვაჩეიშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
13. **მიხეილ ამაშუკელი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
14. **დავით რურუა** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
15. **შალვა ოგბაიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
16. **ირაკლი ნადირაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
17. **ოთარ გრიგოლია** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
18. **ლევან არველაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
19. **ქეთევან ჯოხაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
20. **ლევან დარახველიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

მოწვეული სტუმრები:

1. **გაიოზ თალაკვაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;
2. **ლევან მიქაია** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
3. **თამარ შარაშიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
4. **თაკო ზედელაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი;
5. **ვახტანგ ლომჯარია** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს უფროსი;
6. **ნიკოლოზ ქობულაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს უფროსის მოადგილე;
7. **ლევან მამალაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს უფროსის მოადგილე;
8. **ირაკლი ჭანტურია** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს წარმომადგენელი;
9. **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები;**
10. **მასმედიის წარმომადგენლები.**

სხდომის გახსნამდე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ ქ-ნმა რამინა ბერაძემ დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა და აცნობა, რომ მიმდინარე სხდომა წარიმართება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის სრული დაცვით (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილების მუხლი 30), სარევიზიო, გარემოს დაცვის, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის, ასევე, ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობის კომისიების (სულ: 5 კომისიის) ერთობლივი სხდომის ფორმატში.

ქ-ნი რ. ბერაძის სიტყვით გამოსვლის შემდეგ, გარემოს დაცვის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა: ერეკლე კუხიანიძე (კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე (ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2018 წლის 15 ნოემბრის №12-0318319154-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო სამსახურის წარმომადგენელი/

სხდომის თავმჯდომარე ბ-ნი ერეკლე კუხიანიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2018 წლის 15 ნოემბრის №12-0318319154-03 წერილი).

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა გ. თალაკვაძემ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი).

მომხსენებლის (გ. თალაკვაძის) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის მთლიანი მოცულობა განისაზღვრა 871 631 500 (რვაას სამოცდათერთმეტი მილიონ ექვსას ოცდათერთმეტი ათას ხუთასი) ლარით, რაც 2018 წლის თავდაპირველად დამტკიცებულ ბიუჯეტთან (№6-8 დადგენილება 15.12.2017წ.) მიმართებაში, რომელიც შეადგენდა 861 609 000 (რვაას სამოცდაერთი მილიონ ექვსას ცხრა ათასი) ლარს, გაზრდილია 10 022 500 (ათი მილიონ ოცდაორი ათას ხუთასი) ლარით.

2019 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია შემდეგი ძირითადი პრიორიტეტების დაფინანსება:

- **სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა - დაფინანსება:** 105 858 500 (ას ხუთი მილიონ რვაას ორმოცდათვრამეტი ათას ხუთასი) ლარი.
- **ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლოატაცია და ავარიული შენობების გამაგრება - დაფინანსება: 173 797 700** (ას სამოცდაცამეტი მილიონ შვიდას ოთხმოცდაჩვიდმეტი ათას შვიდასი) ლარი.

- **ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - დაფინანსება: 92 996 000** (ოთხმოცდათორმეტი მილიონ ცხრაას ოთხმოცდათექვსმეტი ათასი) ლარი.

ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების პრიორიტეტის (კოდი: 03) ფარგლებში 2019 წელს განხორციელდება:

1. **გამწვანების ღონისძიებები (კოდი: 03 01) - დაფინანსება:** 26 250 000 (ოცდაექვსი მილიონ ორას ორმოცდაათი ათასი) ლარი.
2. **დასუფთავების ღონისძიებები (კოდი: 03 02) - დაფინანსება:** 61 354 000 (სამოცდაერთი მილიონ სამას ორმოცდათოთხმეტი ათასი) ლარი.
3. **თბილისის ზოოლოგიური პარკის და ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა (03 03) დაფინანსება: 5 392 000** (ხუთი მილიონ სამას ოთხმოცდათორმეტი ათასი) ლარი.

- **ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - დაფინანსება: 5 897 000** (ხუთი მილიონ რვაას ოთხმოცდაჩვიდმეტი ათასი) ლარი.
- **ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარება - დაფინანსება: 20 648 100** (ოცი მილიონ ექვსას ორმოცდარვა ათას ასი) ლარი.
- **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - დაფინანსება: 191 030 700** (ას ოთხმოცდათერთმეტი მილიონ ოცდაათი ათას შვიდასი) ლარი.
- **განათლება - დაფინანსება: 159 063 200** (ას ორმოცდაცხრამეტი მილიონ სამოცდასამი ათას ორასი) ლარი.
- **კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - დაფინანსება: 21 593 400** (ოცდაერთი მილიონ ხუთას ოთხმოცდაცამეტი ათას ოთხასი) ლარი.
- **საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - დაფინანსება: 3 608 800** (სამი მილიონ ექვსას რვა ათას რვაასი) ლარი.

საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების პრიორიტეტის ფარგლებში 2019 წელს დაფინანსდება ცხოველთა მონიტორინგის პროგრამა (კოდი: 09 02) 3 158 300 (სამი მილიონ ას ორმოცდათვრამეტი ათას სამასი) ლარით. აღნიშნული დაფინანსება 2018 წლის ბიუჯეტის გეგმის იდენტურია და ამ მიმართულებით, ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების დაფინანსების ზრდა არ ფიქსირდება.

- **ქ. თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - დაფინანსების ოდენობა: 97 138 100** (ოთხმოცდაჩვიდმეტი მილიონ ას ოცდათვრამეტი ათას ასი) ლარი.

2019 წლის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 850 531 500 (რვაას ორმოცდაათი მილიონ ხუთას ოცდათერთმეტი ათას ხუთასი) ლარით, მათ შორის:

- გადასახადები: 658 415 200 (ექვსას ორმოცდათვრამეტი მილიონ ოთხას თხუთმეტი ათას ორასი) ლარი;
- გრანტები: 1 341 500 (ერთი მილიონ სამას ორმოცდაერთი ათას ხუთასი) ლარი;

- სხვა შემოსავლები: 190 774 800 (ას ოთხმოცდაათი მილიონ შვიდას სამოცდათოთხმეტი ათას რვაასი) ლარი.

პროექტის მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ხარჯები განსაზღვრულია 675 360 200 (ექვსას სამოცდათხუთმეტი მილიონ სამას სამოცი ათას ორასი) ლარით, მათ შორის:

შრომის ანაზღაურება: 85 926 400 (ოთხმოცდახუთი მილიონ ცხრაას ოცდაექვსი ათას ოთხასი) ლარი;

საქონელი და მომსახურება: 134 782 000 (ას ოცდათოთხმეტი მილიონ შვიდას ოთხმოცდაორი ათასი) ლარი;

პროცენტი: 1 405 600 (ერთი მილიონ ოთხას ხუთი ათას ექვსასი) ლარი;

სუბსიდიები: 175 781 500 (ას სამოცდათხუთმეტი მილიონ შვიდას ოთხმოცდაერთი ათას ხუთასი) ლარი;

გრანტები: 920 300 (ცხრაას ოცი ათას სამასი) ლარი;

სოციალური უზრუნველყოფა: 157 776 200 (ას ორმოცდაჩვიდმეტი მილიონ შვიდას სამოცდათექვსმეტი ათას ორასი) ლარი.

სხვა ხარჯები: 118 768 200 (ას თვრამეტი მილიონ შვიდას სამოცდარვა ათას ორასი) ლარი, მათ შორის ფინანსდება ისეთი პროგრამები, როგორიცაა: ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება, ქალაქის განვითარების ხელშეწყობა, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა და სხვა.

არაფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს 160 027 000 (ას სამოცი მილიონ ოცდაშვიდი ათასი) ლარს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტით ფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარს, ხოლო ვალდებულებების ცვლილება 16 244 300 (თექვსმეტი მილიონ ორას ორმოცდაოთხი ათას სამასი) ლარს.

2019 წლისთვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა 15 144 400 (თხუთმეტი მილიონ ას ორმოცდაოთხი ათას ოთხასი) ლარით.

მომხსენებლის ინფორმაციის წარდგენის შემდეგ, აზრი გამოთქვა:

ქ-ნმა რ. ბერაძემ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე), რომელმაც აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მერმა კ. კალაძემ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კანონის სრული დაცვით წარმოადგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში და პროექტის განხილვა წარიმართა მოქმედი კანონმდებლობის, მათ შორის, ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით (№2-1 დადგენილება 19.07.2014 წ.) დადგენილი პროცედურების სრული დაცვით.

ამის შემდეგ, სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

შეკითხვები დასვა:

ბ-ნმა ირ. ნადირაძემ (საკრებულოს წევრი):

- წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის მიმდინარე, 2018 წლის ბიუჯეტის გეგმის მაჩვენებლებთან შედარების შესახებ.

ბ-ნი ირ. ნადირაძის განმარტებით, წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტი შედარებულია არა 2018 წლის გეგმასთან (განხორციელებული ბოლო ცვლილების მიხედვით), არამედ თავდაპირველ (2017 წლის 15 დეკემბერს №6-8 დადგენილებით დამტკიცებულ) დოკუმენტთან.

- წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტის ცალკეული პრიორიტეტების დაფინანსების კლების გამომწვევი მიზეზების შესახებ.

ბ-ნმა ირ. ნადირაძემ შესადარებლად მოიყვანა:

- **სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენის პრიორიტეტი (კოდი: 01)** (დაფინანსება: 105 858 500 (ას ხუთი მილიონ რვაას ორმოცდათვრამეტი ათას ხუთასი) ლარი), რომელიც, 2018 წლის გეგმით გათვალისწინებულ დაფინანსებასთან (დაფინანსების ოდენობა: **179 201 0**00 ლარი) შედარებით, **შემცირებულია 73 342 500** (სამოცდაცამეტი მილიონ სამას ორმოცდაორი ათას ხუთასი) ლარით. მათ შორის, შემცირებულია აღნიშნული პრიორიტეტით გათვალისწინებული საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობის, აღდგენისა და მოვლა-შეკეთების (კოდი: 01 01), გზების მშენებლობისა და აღდგენის (კოდი: 01 01 01), ტრანსპორტის განვითარების (კოდი: 01 02) პროგრამები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბ-ნი ირ. ნადირაძე დაინტერესდა, განხორციელდება თუ არა 2019 წელს ახალი მუნიციპალური ავტობუსების შესყიდვა და მეტროს რეაბილიტაცია.

- **ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობის, ექსპლოატაციისა და ავარიული შენობების გამაგრების პრიორიტეტი** (კოდი: 02) (დაფინანსების ოდენობა: **173 797 700** (ას სამოცდაცამეტი მილიონ შვიდას ოთხმოცდაჩვიდმეტი ათას შვიდასი) ლარი), რომელიც 2018 წლის გეგმით გათვალისწინებულ დაფინანსებასთან (**189 434 500 ლარი)** შედარებით, **შემცირებულია 15 636 800 (თხუთმეტი მილიონ ექვსას ოცდათექვსმეტი ათას რვაასი) ლარით**. მათ შორის, შემცირებულია აღნიშნული პრიორიტეტის ფარგლებში განსახორციელებელი ბინათმშენებლობისა და ავარიული

შენობების გამაგრების პროგრამისა (კოდი: 02 02) და კეთილმოწყობის ღონისძიებების (კოდი: 02 09) დაფინანსება.

- **ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების პრიორიტეტის ფარგლებში განსახორციელებელი დასუფთავების ღონისძიებების (კოდი: 03 02) დაფინანსება** 2018 წელს გეგმით გათვალისწინებულ დაფინანსებასთან (**61 354 300 ლარი**) შედარებით, **შემცირებულია 300 (სამასი) ლარით.**
- **ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტი (კოდი: 06)** (დაფინანსების ოდენობა: **191 030,700** (ას ოთხმოცდათერთმეტი მილიონ ოცდაათი ათას შვიდასი) ლარი), რომელიც 2018 წლის გეგმით გათვალისწინებულ დაფინანსებასთან (დაფინანსების ოდენობა: **192 267 000** ლარი) შედარებით **შემცირებულია 1 236 300 (ერთი მილიონ ორას ოცდათექვსმეტი ათას სამასი) ლარით.**

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბ-ნი ირ. ნადირაძე დაინტერესდა უფასო სასადილოების პროგრამის დაფინანსებით საკითხით.

- **კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის პრიორიტეტი (კოდი: 08) (დაფინანსების ოდენობა: 21 593 400** (ოცდაერთი მილიონ ხუთას ოთხმოცდაცამეტი ათას ოთხასი) ლარი), რომელიც 2018 წლის გეგმით გათვალისწინებულ დაფინანსებასთან (დაფინანსების ოდენობა: **29 570 300** ლარი) შედარებით შემცირებულია 7 976 900 (შვიდი მილიონ ცხრაას სამოცდათექვსმეტი ათას ცხრაასი) ლარით.

ბ-ნი ირ. ნადირაძე, ასევე, დაინტერესდა იმ პრიორიტეტების დაფინანსების გაზრდის გამომწვევი მიზეზებით, როგორიცაა, მაგალითად:

- **განათლების პრიორიტეტი (კოდი: 07) (დაფინანსების ოდენობა: 159 063 200** (ას ორმოცდაცხრამეტი მილიონ სამოცდასამი ათას ორასი) ლარი), რომელიც 2018 წლის გეგმით გათვალისწინებულ დაფინანსებასთან (დაფინანსების ოდენობა: **128 472 300** ლარი) შედარებით **გაზრდილია 30 590 900 (ოცდაათი მილიონ ხუთას ოთხმოცდაათი ათას ცხრაასი)** ლარით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბ-ნი ირ. ნადირაძე განსაკუთრებით დაინტერესდა განათლების პრიორიტეტით (კოდი: 07) გათვალისწინებული საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობის (კოდი: 07 02 03) პროგრამის დაფინანსების გაზრდის გამომწვევი მიზეზით.

- **ქ. თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების პრიორიტეტი (კოდი: 10)**, რომელიც 2018 წლის გეგმით გათვალისწინებულ დაფინანსებასთან შედარებით **გაზრდილია.**

ბ-ნი ირ. ნადირაძე დაინტერესდა აღნიშნული პრიორიტეტით გათვალისწინებული საქონლისა და სხვა მომსახურების, ასევე, შრომის ანაზღაურების (სახელფასო ფონდის) ზრდის გამომწვევი მიზეზით და აღნიშნული დაფინანსების ზრდის ფონზე, განხორციელდება თუ არა მუნიციპალური ტრანსპორტის (ავტობუსები, მეტრო)

მძღოლებისა და სხვა მომსახურე პერსონალის, მუნიციპალურ საწარმოებში (მაგ., შპს „თბილსერვისი“) დასაქმებულთა ხელფასის მატება.

ბ-ნმა ირ. ნადირაძემ ასევე შეკითხვა დასვა ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტების შემუშავების პროგრამის (კოდი: 04 12) დაფინანსების საკითხის შესახებაც, რომლისთვისაც განსაზღვრულია 3 390 000 (სამი მილიონ სამას ოთხმოცდაათი ათასი) ლარი.

ბ-ნმა ირ. ნადირაძემ აღნიშნა, რომ განახლებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა, რომლის შესყიდვაც განხორციელდა რამდენიმე წლის წინ, შემუშავდა და განსახილველად წარმოდგენილია საკრებულოში, შესაბამისად, საინტერესოა, რას მოიცავს აღნიშნული პროგრამა და რა მიმართულებით იქნება მიმართული გამოყოფილი დაფინანსება.

დაბოლოს, ბ-ნი ირ. ნადირაძის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობას“ აქვს შეკითხვები და ისინი გამოიყენებენ რეგლამენტით მათთვის მინიჭებულ უფლებას და აღნიშნულ შეკითხვებს, შენიშვნებსა და წინადადებებს, წერილობით აცნობებენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს.

აზრი გამოთქვეს:

ქ-ნმა რ. ბერაძემ, რომლის განმარტებით, კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის შედარება უნდა განხორციელდეს 2018 წლის ბიუჯეტის თავდაპირველი (2017 წლის 15 დეკემბერს №6-8 დადგენილებით დამტკიცებული) დოკუმენტის მაჩვენებლებთან.

რაც შეეხება, ბ-ნი ირ. ნადირაძეს შეკითხვებსა და შენიშვნებს, ქ-ნი რ. ბერაძის აზრით, ნებისმიერი საკრებულოს წევრისა თუ კომისიის შენიშვნები და წინადადებები, კანონმდებლობის მოთხოვნებითა და დადგენილი პროცედურების დაცვით, უნდა გადაეგზავნოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას არაუგვიანეს 20 ნოემბრისა.

ბ-ნმა ირ. ზარქუამ (საკრებულოს წევრი, ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე), რომლის განმარტებით, წარმოდგენილი 2019 წლის ბიუჯეტის პროექტი არის სამუშაო ვერსია, რომელსაც შეისწავლის საკრებულო და შენიშვნებისა და წინადადებების არსებობის შემთხვევაში, დაუბრუნებს ქალაქის მერს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, 2018 წლის თავდაპირველ (2017 წლის 15 დეკემბერს №6-8 დადგენილებით დამტკიცებულ) ბიუჯეტთან შედარებით, 2019 წლის ბიუჯეტი გაზრდილია, თუმცა, იმის გამო, რომ საქართველოს ბიუჯეტის ჯერ არ დამკიცებულა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტში არ არის გათვალისწინებული მიზნობრივი და სპეციალური ტრანსფერების მოცულობა.

ბ-ნი ირ. ნადირაძის მიერ დასმულ შეკითხვებს პასუხი გასცა მომხსენებელმა, ბ-ნმა გ. თალაკვაძემ, რომლის განმარტებით, კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე,

მომავალი წლის (ამ შემთხვევაში, 2019 წლის) ბიუჯეტის პროექტის შედარება უნდა განხორციელდეს მიმდინარე წლის ბიუჯეტის თავდაპირველ დოკუმენტთან. რაც შეეხება ბ-ნი ირ. ნადირაძის ინფორმაციას, თითქოს დაფინანსება შემცირებულია, არ შეესაბამება სიმართლეს, რადგან, 2018 წლის ბიუჯეტის თავდაპირველ (2017 წლის 15 დეკემბერს №6-8 დადგენილებით დამტკიცებულ) ბიუჯეტთან მიმართებაში, იგი გაზრდილია, ხოლო ისეთ პროგრამებზე როგორიცაა, მაგალითად ტრანსპორტის განვითარების (კოდი: 01 02) პროგრამა, ამ ეტაპზე, მხოლოდ მუნიციპალიტეტის ასიგნებების ფარგლებში მოხდა დაფინანსების დაანგარიშება. როგორც უკვე აღინიშნა, 10 დეკემბრისთვის უკვე განსაზღვრული იქნება ცენტრალური ბიუჯეტით გამოსაყოფი ტრანსფერების ოდენობა და მის ფარგლებში მოხდება აღნიშნული პროგრამის საბოლოო დაფინანსების ოდენობის განსაზღვრა. თუმცა, წინასწარი მონაცემებით, უშუალოდ ტრანსფერით გამოყოფილი თანხის ფარგლებში, 2019 წლისთვის იგეგმება 220 ავტობუსის შესყიდვა. გარდა ამისა, შესაძლოა, 90 ავტობუსის შესყიდვა განხორციელდეს უშუალოდ 2018 წლის ბიუჯეტის ფარგლებშიც. იგივე შეეხება მეტროს რეაბილიტაციის პროგრამასაც, რადგან შესაბამისი ღონისძიებები უნდა განხორციელდეს სპეციალური ტრანსფერის გამოყოფის შემდეგ.

შპს „თბილსერვისთან" დაკავშირებით, ბ-ნმა გ. თალაკვაძემ აღნიშნა, რომ ფინანსთა სამინისტროს მიერ შემოღებული ახალი რეგულაციების მიხედვით, შპს „თბილსერვის ჯგუფის" სუბსიდირება (დაფინანსება) უნდა აისახოს ბიუჯეტის შესაბამის მუხლში.

მომხსენებლის (გ. თალაკვაძის) ინფორმაციით, ბინათმშენებლობისა და ავარიული შენობების გამაგრების პროგრამის (კოდი: 02 02), ასევე, კეთილმოწყობის ღონისძიებების (კოდი: 02 09) დაფინანსება, შესაძლოა, 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის დაზუსტებული ვარიანტის წარმოდგენისას განსხვავებული იყოს.

რაც შეეხება, ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტების შემუშავების პროგრამის (კოდი: 04 12) დაფინანსების საკითხს, ბ-ნი გ. თალაკვაძის განმარტებით, მართალია, განახლებული მიწათსარგებლობის გეგმის პროექტი შემუშავდა და საკრებულოს წარედგინა განსახილველად, მაგრამ აღნიშნული გეგმით გათვალისწინებულია შესაბამისი ჩარჩო გეგმების (სულ 11 ჩარჩო გეგმა) გადახედვისა და შესაბამისი თანმდევი ღონისძიებები, რაც საჭიროებს ფინანსურ უზრუნველყოფას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ბ-ნმა გ. თალაკვაძემ პასუხი გასცა ბ-ნი ირ. ნადირაძის მიერ დასმულ სხვა შეკითხვებსაც, მათ შორის:

უფასო სასადილოების საკითხის თაობაზე მომხსენებელმა (გ. თალაკვაძე) აღნიშნა, რომ ფასის და შესაბამისად, დაფინანსების განსაზღვრა ხდება ტენდერის საფუძველზე.

სახელფასო ფონდის დაფინანსების გაზრდასთან დაკავშირებით, ბ-ნი გ. თალაკვაძის განმარტებით, საკანონმდებლო მოთხოვნებიდან გამომდინარე, სახელფასდო ფონდის ასიგნებების ნაწილში აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას როგორც ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების თანხა, რომელიც წლიური შემოსავლის 10%-ს არ უნდა აღემატებოდეს, ასევე, ფულადი ჯილდოს სახით გასაცემი თანხის მოცულობაც, რაც ასევე, წლიური შემოსავლის 20%-ს არ უნდა აღემატებოდეს. რეალურად, სახელფასო ფონდი

იზრდება მხოლოდ ამ მიმართულებით, ხოლო მეტროსა და სხვა მუნიციპალური ტრანსპორტის კომპანიებში დასაქმებული მოსამსახურეების ხელფასების მატებას, იმის გამო, რომ სატრანსპორტო კომპანიის დაქვემდებარებაში არიან, საჭიროა თავად კომპანიამ განსაზღვროს ხელფასის ოდენობა და დასმულ შეკითხვასაც მან უპასუხოს.

ბ-ნი გ. თალაკვაძის გამოსვლის შემდეგ, აზრი გამოთქვეს:

ბ-ნმა რ. სოხაძემ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი; ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე), რომელმაც ისაუბრა 2019 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებული პრიორიტეტების დაფინანსების საკითხზე და აღნიშნა, არის შენიშვნები და წინადადებები, რომელსაც სამუშაო რეჟიმში გაივლის ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისია. გარდა ამისა, ბ-ნი რ სოხაძის აზრით, ხარჯვითი ნაწილის განსაზღვრისას აუცილებელია გააზრებული იქნას თითოეული პრიორიტეტის მნიშვნელობა და როლი დედაქალაქის ცხოვრებაში, თუნდაც იგივე ინფრასტრუქტურის პროგრამების მნიშვნელობა, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული განახლებული მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმასთან.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ბ-ნი რ. სოხაძე შეეხო სახელფასო ფონდის ზრდისა და, ასევე, შპს „თბილსერვის ჯგუფის" დაფინანსების საკითხებსაც.

ბ-ნმა ლ. ხაბეიშვილმა (კომისიის წევრი) - სოციალური პროგრამების დაფინანსების შემცირების ფონზე, ქ. თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების (კოდი: 10) დაფინანსების (სახელფასო ფონდის, საქონლისა და სხვა მომსახურების ხარჯების) გაზრდის თაობაზე.

ბ-ნმა ლ. ხაბეიშვილმა აღნიშნა, რომ უფასო სასადილოებისათვის ერთ ბენეფიციარზე ერთი დღის რაციონზე გამოყოფილი 1,18 ლარი აუცილებლად საჭიროებს გადახედვას და აღნიშნული ტარიფი არ უნდა იყოს დამოკიდებული ტენდერის მიხედვით დაფინანსების განსაზღვრაზე.

ლ. ჯაფარიძემ (კომისიის წევრი) - ბიუჯეტის პრიორიტეტების ზრდის მიუხედავად, უფასო სასადილოებისათვის ერთ ბენეფიციარზე ერთი დღის რაციონზე გამოყოფილი 1,18 ლარის გადახედვის აუცილებლობის შესახებ.

გამომსვლელების შემდეგ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს ინფორმაციით, სააგენტოს საქმიანობის ეფექტიანად წარმართვის, ასევე, დედაქალაქში ცხოველთა (ძაღლები, კატები) პოპულაციების მართვის, თავშესაფრის საქმიანობის ხარისხის შენარჩუნება-გაზრდის, მათ შორის, მისი გამტარუნარიანობის დონის ამაღლების მიზნით, სასურველია, ცხოველთა მონიტორინგის პროგრამის (09 02) დაფინანსება გაიზარდოს 891 700 (რვაას ოთხმოცდათერთმეტი ათას შვიდასი) ლარით და პროგრამის (კოდი: 09 02) დაფინანსება განისაზღვროს 4 050 000 (ოთხი მილიონ ორმოცდაათი ათასი) ლარით, რაც მიზნობრივად იქნება მიმართული ისეთ მნიშვნელოვან პროექტებზე, როგორიცაა:

თავშესაფრის განყოფილებისათვის სხვადასხვა სანიტარული და ჰიგიენური საშუალებების შეძენა, საკატე და სალეკვე შენობების მოწყობა, მსხვილფეხა და წვრილფეხა ცხოველებისთვის განკუთვნილი სადგომების მშენებლობა, ცხოველთა თავშესაფრის, საკარანტინო შენობისა და სპეც. ავტოსატრანსპორტო საშუალებების დეზინფექციის, დეზინსექციის, დერატიზაციის სრულყოფილად განხორციელება და სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებები.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

ეთხოვოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს და მთავრობას, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით“ გათვალისწინებული ცხოველთა მონიტორინგის პროგრამის (09 02) დაფინანსების გაზრდა, შესაძლებლობის ფარგლებში, 891 700 (რვაას ოთხმოცდათერთმეტი ათას შვიდასი) ლარით და პროგრამის (კოდი: 09 02) დაფინანსება განისაზღვროს 4 050 000 (ოთხი მილიონ ორმოცდაათი ათასი) ლარით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

შენიშვნა: კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო კომისიის 1-მა წევრმა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

ეთხოვოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს და მთავრობას, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით“ გათვალისწინებული ცხოველთა მონიტორინგის პროგრამის (09 02) დაფინანსების გაზრდა, შესაძლებლობის ფარგლებში, 891 700 (რვაას ოთხმოცდათერთმეტი ათას შვიდასი) ლარით და პროგრამის (კოდი: 09 02) დაფინანსება განისაზღვროს 4 050 000 (ოთხი მილიონ ორმოცდაათი ათასი) ლარით.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: ერეკლე კუხიანიძე